



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

**აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი
„ალტერბრიჯი“
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:
სტრატეგიული კომუნიკაციები

შეფასების თარიღ(ებ)ი
3 ივნისი, 2020

დასკვნის წარდგენის თარიღი

23 ივლისი, 2020

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „ალტერბრიჯი“
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	405284473
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სტრატეგიული კომუნიკაციები
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	საზოგადოებასთან ურთიერთობის მაგისტრი Master in Public Relations 0414
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თორნიკე გურული (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო შოშიტაშვილი (გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველო)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნიკა გიგაური (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

- ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სასწავლო დაწესებულება ახალია. მან 2019 წლის დეკემბერში გაიარა ავტორიზაცია. ამ ეტაპზე სასწავლო უნივერსიტეტს არ ჰყავს სტუდენტები და კურსდამთავრებულები.

საგანმანათლებლო პროგრამა შექმნილია საქართველოში არსებულ საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით, გათვალისწინებულია დარგში არსებული ცოდნა და გამოწვევები. სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამა 120 კრედიტისაგან შედგება. მათ შორის 100 კრედიტი ძირითადი კომპონენტისაგან შედგება, 20 კრედიტი კი სტუდენტის თავისუფალი არჩევანია.

ზოგადად, სტრატეგიული კომუნიკაციების სამაგისტრო პროგრამა საგანმანათლებლო ბაზარზე არ არის ახალი. მსგავსი შინაარსის სამაგისტრო პროგრამებს სხვა დაწესებულებები უკვე ახორციელებენ.

- აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციაზე ვიზიტი 2020 წლის 3 ივნისს გაიმართა. ექსპერტების ჯგუფმა ჩაატარეს აკადემიურ, ადმინისტრაციულ და მოწვეულ პერსონალთან პერსონალური და ონლაინ შეხვედრები. პანდემიის გამო ცალკეული შეხვედრები ჩატარდა ზუმის მეშვეობით. ექსპერტთა ჯგუფმა დოკუმენტაციის შესწავლის გარდა განახორციელა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება და ანალიზი. სასწავლო დაწესებულების მხრიდან ყველა პირობა იყო შექმნილი, რათა შეფასების პროცესი სრულყოფილად წარმართულიყო.

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

წარმოდგენილი 5 სტანდარტიდან სასწავლო უნივერსიტეტის 3 სტანდარტში შეესაბამება არსებულ მოთხოვნებს, ხოლო 2 სტანდარტში მეტწილად.

- რეკომენდაციები

პროგრამის შეფასების დროს შემუშავდა რეკომენდაციების სია:

1. შეთავაზებული იქნას სტუდენტებისათვის სასწავლო კურსი, რომელიც ითვალისწინებს საზოგადოებასთან ურთიერთობის კლასიკური თეორიების სწავლებას.
2. გაიზარდოს ციფრულ არხებში საზოგადოებასთან ურთიერთობის ცალკეული მიმართულებების სასწავლო კურსების შეთავაზებები
3. დაემატოს სასწავლო პროგრამის სტრუქტურას შიდაკორპორაციული კომუნიკაციის კურსი
4. იმისათვის, რომ სტუდენტებს საშუალება ჰქონდეთ სრულად აღიქვან ბიზნეს სტრუქტურებში პიარის კონტექსტი, სასწავლო პროგრამის შინაარსში შევიდეს

მარკეტინგის კურსი (ალეტერნატივები: სტრატეგიული მარკეტინგი/მარკეტინგის მენეჯმენტი), რომელიც ასევე მოიცავს მარკეტინგული კვლევების კურსს.

5. რადგანაც სტუდენტების ერთი ნაწილი პრესცენტრებში იქნება დასაქმებული, მნიშვნელოვანია შინაარს დამატოს მედიასთან ურთიერთობის სასწავლო კურსი.
6. სრული თავისუფალი კრედიტების რაოდენობა არის 10. რაც ზღუდავს სტუდენტების არჩევანის შესაძლებლობას. მნიშვნელოვანია სასწავლო პროგრამის სტრუქტურის ამ მიმართულებით გადახედვა.
7. სამაგისტრო ნაშრომისთვის მნიშვნელოვანია პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებული იქნას აკადემიური წერის, კვლევის და სამაგისტრო ნაშრომის მომზადების ჰარმონიული განგმობადობა.
8. რადგანაც საზოგადოებასთან ურთიერთობის დისციპლინა სწრაფად იცვლება და ვითარდება, მნიშვნელოვანია, რეგულარულად მოხდეს სასწავლო ლიტერატურის უახლესი გამოცემებით და ონლაინ პლატფორმებით განახლება.
9. მნიშვნელოვანია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სამეცნიერო კვლევითი კომპონენტის გაძლიერება პროგრამის განხორციელების დროს და შექმნას სტუდენტების ჩართულობის მექანიზმები.
10. სწავლის შედეგების უკეთ მიღწევისთვის რეკომენდირებულია „სტატისტიკური კვლევების“ სასწავლო კურსში სტუდენტთა დამოუკიდებელ კვლევითი უნარების განვითარებაზე მეტი აქცენტი გაკეთდეს და ფინალური თეორილი გამოცდის ნაცვლად უმჯობესია სტუდენტების მხრიდან კვლევითი ნაშრომის მომზადება, ხოლო სტუდენტთა თეორიული ცოდნის შეფასებისთვის შესაძლებელია სილაბუსში უკვე არსებული ქვიზებისა და შუალედური გამოცდის გამოყენება.
11. მნიშვნელოვანია, უნივერსიტეტმა საუკეთესო გამოცდილების გაზიარების კუთხით ურთიერთობა დაამყაროს უცხოურ უნივერსიტეტებთან, რომლებსაც საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით აქვთ სასწავლო პროგრამები, რათა მათი გამოცდილება გაიზიაროს და სტუდენტებს შეუქმნას საერთაშორისო მობილობის რეალური შესაძლებლობა.
12. სტრატეგიული კომუნიკაცია სხვა ტრანსფერულ უნარებთან ერთად მოითხოვს კვლევის უნარის გამომუშავებას, შესაბამისად, სასწავლო კურსი "სტატისტიკური კვლევები" უნდა განისაზღვროს პროგრამის ძირითად სასწავლო კურსად.
13. მნიშვნელოვანია დაზუსტდეს კვალიფიკაციის მინიჭების საკითხი და ფორმულირდეს საზოგადოებასთან ურთიერთობების ნაცვლად შემდეგნაირად „საზოგადოებასთან ურთიერთობის მაგისტრი“.

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

მსოფლიოში სტრატეგიული კომუნიკაცია დიჯიტალიზაციისკენ არის მიმართული. შესაბამისად, მნიშვნელოვანია უფრო გაძლიერდეს ეს მიმართულება, რათა პროგრამამ უზრუნველყოს უფრო მეტი სპეციალისტის გაზრდა ყველაზე მოთხოვნადი მიმართულებით სტრატეგიულ კომუნიკაციაში.

მნიშვნელოვანია, პროგრამის განვითარებისთვის მუდმივად მოხდეს სასწავლო კურსების შინაარსების მოდერნიზაცია. განსაკუთრებით ეს რჩევა ეხება იმ სასწავლო კურსებს,

რომელიც ელექტრონული კომუნიკაციის კომპონენტებს მოიცავს. ეს მიმართულება სწრაფად ვითარდება და როგორც სასწავლო ლიტერატურა, ასევე შინაარსი მნიშვნელოვნად იცვლება.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)
- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სასწავლო პროგრამა ახალია.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამა ბაზარზე არსებული მოთხოვნის შესწავლის შედეგად შეიქმნა. პროგრამის შემუშავება რამდენიმეთვიანი პროცესი იყო, რომლის ერთი ნაწილი ბაზრის კვლევას მიეძღვნა, ხოლო მეორე ამ ანალიზზე დაყრდნობილი პროგრამის განვითარებას.

პროგრამის მიზნები რეალისტურია, მიღწევადია და თანხვედრაშია სასწავლო უნივერსიტეტის მისიისა და სამოქმედო გეგმასთან. დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს მაგისტრანტმა:

- საფუძვლიანად შეისწავლოს რეპუტაციული მენეჯმენტის, ინტერპერსონალური კომუნიკაციის, მოლაპარაკების სტრატეგიების და ბრენდის მართვის თანამედროვე მიდგომები
- გაიღრმავოს ცოდნა ციფრული ტექნოლოგიების სტრატეგიული მართვის, სოც.მედია და ანტიკრიზისული კამპანიების დაგეგმვისა და ვიზუალურ „ამბის თხრობის“ უახლესი ტრენდების შესახებ;
- დამოუკიდებლად მართოს ღონისძიებები და კვლევითი სამუშაოები, კრიტიკულად გაანალიზოს და შეაფასოს სტრატეგიული კომუნიკაციების პრაქტიკული შედეგები
- მიიღოს პრაქტიკული გამოცდილება სხვა და სხვა მიზნობრივ აუდიტორიისთვის სტრატეგიების და სამოქმედო გეგმების შემუშავებასა და ორგანიზაციისთვის ორმხრივი კომუნიკაციის მიღებული სარგებლის ობიექტურ დასაბუთებაში .

პროგრამის მიზნები ისეა გაწერილი, რომ ის წვლილს შეიტანს დარგის განვითარებაში, რაც თავისთავად საზოგადოების განვითარებას აღნიშნული მიმართულებით მოემსახურება.

მიზნებში დეტალურად არის გაწერილი ის ცოდნა და უნარები, რომლებიც კურსდამთავრებულებს უნდა ჰქონდეთ სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ.

პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ, საჯარო და ხელმისაწვდომია სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
- თვითშეფასების ანალიზი
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებლებთან
- უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების დოკუმენტი
- სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდი
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი
-

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამაში დეტალურად არის გაწერილი სწავლის შედეგები. ისინი აღწერენ იმ ცოდნას, უნარებს და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

სწავლის მიღწეული შედეგები სრულ შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. პროგრამის შედეგები, ასევე, მისადაგებულია სასწავლო უნივერსიტეტის მისიასთან, ამოცანებთან, პროგრამით დასახულ მიზნებთან, დარგის საჭიროებებსა და ადგილობრივი / საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებთან.

სტრატეგიული კომუნიკაციების სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები რეალისტური და მიღწევადია. სტუდენტი იღებს ღრმა და სისტემურ ცოდნას სტრატეგიული კომუნიკაციების მართვაში. მას სიღრმისეულად ესმის საკომუნიკაციო კამპანიების პროფესიულ დონეზე დაგეგმვის არსი და მულტიდისციპლინურ გარემოში პროცესების მართვისას ორმხრივი კომუნიკაციის გამჭვირვალობა. მაგისტრი აცნობიერებს სანდოობისა და რეპუტაციული მენეჯმენტის მნიშვნელობას საქმის წარმატებაში. ამასთანავე, გათავისებული აქვს უკუკავშირით შეფასების აქტუალობა; დამოუკიდებლად შეუძლია სიტუაციური ანალიზის მომზადება, მოლაპარაკების ეფექტიანად წარმართვა, სტრატეგიული კამპანიის შემუშავება და რეპუტაციის მართვა.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს. სწავლის შედეგების შეფასებისათვის პროგრამა გამოიყენებს სწავლის შედეგების პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდებს. სწავლის შედეგების შეფასება მოხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ. პროგრამას შემუშავებული აქვს კურიკულუმის რუკა; პროგრამის სწავლის შედეგების (პსშ) შეფასების გეგმა,

სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა, რომელშიც ასახულია თუ რომელი სასწავლო კურსის ფორმატში მოხდება პროგრამის სწავლის თითოეული შედეგის რეალიზება.

პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს, რაც დასტურდება ინტერვიუს სესიებით.

საგანმანათლებლო პროგრამა ახალია, შესაბამისად, ვერ მოხდა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მონაცემების დადარება.

ინტერვიუს სესიებით დასტურება ვსშ შემუშავებაში ყველა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სტრატეგიული კომუნიკაციების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია ;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- მაგისტრატურის დებულება;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებლებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

<p>2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</p> <p>უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი.</p> <p>პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას; პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.</p> <p>სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დაშვების წინაპირობებია:</p> <p>ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ნებისმიერი სპეციალობით; საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარება ან საერთო სამაგისტრო გამოცდების</p>

გავლის გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. შიდა საუნივერსიტეტო სასპეციალიზაციო წერითი გამოცდა საზოგადოებრივი ურთიერთობების შესავალში, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 80 ქულიდან 41 ქულას; ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დადასტურება ტესტირებით, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 100 ქულიდან 51 ქულას, ან B2 დონის დამადასტურებელი საერთაშორისო ვალიდური სერტიფიკატის წარდგენა; მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით; მობილობით პროგრამაზე დაშვების წინაპირობა გამჭვირვალეა და შესაბამისობაში მოდის არსებულ რეგულაციებთან. ყველა პროცედურა საჯარო და ხელმისაწვდომია სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა
- მაგისტრატურის დებულება
- www.alterbridge.edu.ge
- თვითშეფასების დოკუმენტი
- ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებლებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამა შემუშავებულია სასწავლო უნივერსიტეტის პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით. სესიებით დასტურდება, რომ პროგრამის დაგეგმვის ეტაპზე განისაზღვრა როგორც პროგრამის მიზნები და მოსალოდნელი შედეგები, პროგრამის სტრუქტურა, ისე პროგრამის შექმნაში მონაწილე პირები და მათი პასუხისმგებლობები.

პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს. პროგრამით გათვალისწინებული 120 კრედიტი გადანაწილებულია 2 აკადემიურ წელზე, 4 სემესტრის განმავლობაში. ყოველ სემესტრში სტუდენტი საშუალოდ აგროვებს 30 კრედიტს პროგრამის დიზაინი (კრედიტებში) კი ასე გამოიყურება: 100 კრედიტი - ძირითადი კომპონენტი, (15 პროფესიული პრაქტიკა, 30 ECTS - სამაგისტრო ნაშრომი) 20 კრედიტი - თავისუფალი, (მათ შორის, 10 ECTS სავალდებულო სასწავლო კურსები) . პროგრამის სტრუქტურა უზრუნველყოფს მისანიჭებელ კვალიფიკაციას. პროგრამის სტრუქტურა ძირითადად თანმიმდევრული და ლოგიკურია. თუმცა, მიგვაჩნია , რომ სტატისტიკური კვლევები უნდა იყოს არა პროგრამის თავისუფალი არჩევითი , არამედ სავალდებულო კომპონენტი. სამაგისტრო ნაშრომისთვის მნიშვნელოვანია პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებული იქნას აკადემიური წერის, კვლევის და სამაგისტრო ნაშრომის მომზადების ჰარმონიული განგმობადობა.

ასევე, მიგვაჩნია რომ პროგრამით გათვალისწინებული სრული თავისუფალი კრედიტების რაოდენობა - 10, ზღუდავს სტუდენტების არჩევანის შესაძლებლობას.

მნიშვნელოვანია სასწავლო პროგრამის სტრუქტურის ამ მიმართულებით გადახედვა და თავისუფალი არჩევითი წილის გაზრდა .

პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე, ვთვლით, რომ სტუდენტებისათვის შეთავაზებული იქნას სასწავლო კურსი, რომელიც ითვალისწინებს საზოგადოებასთან ურთიერთობის კლასიკური თეორიების სწავლებას; გაიზარდოს ციფრულ არხებში საზოგადოებასთან ურთიერთობის ცალკეული მიმართულებების სასწავლო კურსების შეთავაზებები; დაემატოს სასწავლო პროგრამის სტრუქტურას შიდაკორპორაციული კომუნიკაციის კურსი.

იმისათვის, რომ სტუდენტებს საშუალება ჰქონდეთ სრულად აღიქვან ბიზნეს სტრუქტურებში პიარის კონტექსტი, სასწავლო პროგრამის შინაარსში შევიდეს მარკეტინგის კურსი (ალტერნატივები: სტრატეგიული მარკეტინგი/მარკეტინგის მენეჯმენტი), რომელიც ასევე მოიცავს მარკეტინგული კვლევების კურსს.

რადგანაც სტუდენტების ერთი ნაწილი პრესცენტრებში იქნება დასაქმებული, მნიშვნელოვანია შინაარს დაემატოს მედიასთან ურთიერთობის სასწავლო კურსი.

პროგრამის განსახორციელებლად უნივერსიტეტს დასჭირდება მოაწიოს კომპიუტერებით აღჭურვილი აუდიტორია.

რადგანაც პროგრამას სისტემატურად სჭირდება განვითარება, მნიშვნელოვანია გააზრებული იქნას, რამდენად ეყოფა რესურსი უნივერსიტეტის რექტორს და ვიცე რექტორს აღნიშნული პროგრამის მენეჯმენტზე და განვითარებაზე. აუცილებელია აფილირებული პროფესორების დარგობრივი პროფესორებით გაზრდა.

პროგრამის სრულყოფისთვის შემუშავდა რეკომენდაციების სია. (იხ. რეკომენდაციები).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო პროგრამა
- ინტერვიუები პროგრამაში ჩართულ მხარეებთან
- თვითშეფასების დოკუმენტი
- სილაბუსები

რეკომენდაციები:

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის უკეთესად გამართვისათვის მნიშვნელოვანია რამდენიმე კომპონენტის გათვალისწინება:

1. შეთავაზებული იქნას სტუდენტებისათვის სასწავლო კურსი, რომელიც ითვალისწინებს საზოგადოებასთან ურთიერთობის კლასიკური თეორიების სწავლებას.

<ol style="list-style-type: none"> 2. გაიზარდოს ციფრულ არხებში საზოგადოებასთან ურთიერთობის ცალკეული მიმართულებების სასწავლო კურსების შეთავაზებები 3. დაემატოს სასწავლო პროგრამის სტრუქტურას შიდაკორპორაციული კომუნიკაციის კურსი 4. იმისათვის, რომ სტუდენტებს საშუალება ჰქონდეთ სრულად აღიქვან ბიზნეს სტრუქტურებში პიარის კონტექსტი, სასწავლო პროგრამის შინაარსში შევიდეს მარკეტინგის კურსი (ალეტერნატივები: სტრატეგიული მარკეტინგი/მარკეტინგის მენეჯმენტი), რომელიც ასევე მოიცავს მარკეტინგული კვლევების კურსს. 5. რადგანაც სტუდენტების ერთი ნაწილი პრესცენტრებში იქნება დასაქმებული, მნიშვნელოვანია შინაარს დაემატოს მედიასთან ურთიერთობის სასწავლო კურსი. 6. სრული თავისუფალი კრედიტების რაოდენობა არის 10. რაც ზღუდავს სტუდენტების არჩევანის შესაძლებლობას. მნიშვნელოვანია სასწავლო პროგრამის სტრუქტურის ამ მიმართულებით გადახედვა. 7. სამაგისტრო ნაშრომისთვის მნიშვნელოვანია პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებული იქნას აკადემიური წერის, კვლევის და სამაგისტრო ნაშრომის მომზადების ჰარმონიული განგობადობა. 8. პროგრამის განსახორციელებლად უნივერსიტეტს დასჭირდება მოაწყოს კომპიუტერებით აღჭურვილი აუდიტორია. 9. რადგანაც პროგრამას სისტემატურად სჭირდება განვითარება, მნიშვნელოვანია გააზრებული იქნას, რამდენად ეყოფა რესურსი უნივერსიტეტის რექტორს და ვიცე რექტორს აღნიშნული პროგრამის მენეჯმენტზე და განვითარებაზე. 10. აუცილებელია აფილირებული პროფესორების დარგობრივი პროფესორებით გაზრდა 11. მნიშვნელოვანია დაზუსტდეს კვალიფიკაციის მინიჭების საკითხი და ფორმულირდეს საზოგადოებასთან ურთიერთობების ნაცვლად შემდეგნაირად „საზოგადოებასთან ურთიერთობის მაგისტრი“.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p>

ო გოთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასწავლო კურსების სილაბუსები მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამის დასახელებას, წინაპირობას, კრედიტის რაოდენობასა და საათების განაწილებას სტუდენტის დატვირთვის მიხედვით. სასწავლო კურსში ასახულია თემატიკით განსაზღვრული მიზნები, დატვირთვის რელევანტური მეთოდოლოგია, სწავლა-სწავლების მეთოდები, სწავლის შედეგები და შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები, ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსი შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება ამ სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს;

სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა განახლებულია. რადგანაც საზოგადოებასთან ურთიერთობის დისციპლინა სწრაფად იცვლება და ვითარდება, მნიშვნელოვანია, რეგულარულად მოხდეს სასწავლო ლიტერატურის უახლესი გამოცემებით და ონლაინ პლატფორმებით განახლება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო პროგრამა
- სილაბუსები
- ვიზიტი ბიბლიოთეკაში

რეკომენდაციები:

რეგულარულად მოხდეს სასწავლო ლიტერატურის უახლესი გამოცემებით და ონლაინ პლატფორმებით განახლება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
<ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება
<p>○ გოთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
<p>სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად პროგრამის კურიკულუმი და ცალკეული დისციპლინების სილაბუსები ითვალისწინებს სტუდენტებისათვის პრაქტიკული უნარების განვითარებისათვის საჭირო აქტივობებს.</p> <p>პროგრამის ფარგლებში, პრაქტიკის კომპონენტი ხორციელდება ე. წ. შერეული მოდელით: ა) სავალდებლო და არჩევით სასწავლო კურსებში ჩაშენებული პრაქტიკითა და ბ) პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსით, რომელიც საბოლოოდ კრავს და ამთლიანებს იმ ცოდნას, უნარებსა და გამოცდილებას, რომელსაც სტუდენტი დაეუფლა თეორიული</p>

კურსებისა და კურსებში ჩაშენებული პრაქტიკის გავლის პერიოდში. პროგრამის სტრუქტურა ითვალისწინებს პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსის გავლას 15 კრედიტის ფარგლებში. სასწავლო უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები სხვადასხვა ორგანიზაციებთან : სპს „აკაკი ჩარგეიშვილის საადვოკატო დარბაზი“ ; ა(ა)იპ „არტარეა TV2.0“; შპს „42 გრადუსი“; ა(ა)იპ „თბილისის არქიტექტურის ბიენალე“; ფაბლისითი ჯგუფი, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა, ეიჩარ გილდია, განათლების ევროპული ცენტრი, მოსწავლე -ახალგაზარდობის ეროვნული სასახლე და სხვ. მათი დახმარებით სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ განვიტარონ ზოგადი ტრანსფერული უნარები და აიმაღლონ პროფესიონალიზმი სტუდენტების მიერ პროფესიული პრაქტიკის გავლას მეთვალყურეობას გაუწევს პროგრამის ხელმძღვანელი, რომელსაც მრავალწლიანი გამოცდილება აქვს სტრატეგიული კომუნიკაციების მიმართულებით. მისი უშუალო ჩართულობით სტუდენტები გადანაწილდებიან წინასწარ შეთანხმებულ ორგანიზაციებში.

რადგანაც უნივერსიტეტს ჯერ არ ჰყავს სტუდენტები, სამეცნიერო კვლევით პროექტებში ჩართულობის საკითხი ახლა ვითარდება. კონკრეტული მექანიზმები ამ მიმართულებით ჩანასახოვან პროცესშია. ექსპერტთა აზრით, მნიშვნელოვანია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სამეცნიერო კვლევითი კომპონენტის გაძლიერება პროგრამის განხორციელების დროს და შექმნას სტუდენტების ჩართულობის მექანიზმები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუები
- სასწავლო პროგრამა
- სილაბუსები
- მაგისტრატურის დებულება
- მემორანდუმები ორგანიზაციებთან / პრაქტიკის ობიექტებთან
- თვითშეფასების დოკუმენტი

რეკომენდაციები:

მნიშვნელოვანია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სამეცნიერო კვლევითი კომპონენტის გაძლიერება პროგრამის განხორციელების დროს და შექმნას სტუდენტების ჩართულობის მექანიზმები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა ხორციელდება სტუდენტებზე ორიენტირებული სწავლების მეთოდების გამოყენებით. არსებული მეთოდები რელევანტურია და შეესაბამება მაგისტრატურის საფეხურს.

პროგრამით გათვალისწინებული თითოეული კურსის სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სწავლა-სწავლების შემდეგი ფორმები და მეთოდები : ლექცია-სემინარი, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, დამოუკიდებელი მუშაობა, ელექტრონული რესურსებით სწავლება; წყვილებში მუშაობა ქოუჩინგის პრინციპით; წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობა ; რეფერატის ან ესსეს შესრულება პროექტზე მუშაობის მეთოდი; გუნდური მუშაობა; დისკუსია / დებატებში მონაწილეობა; შემთხვევის ანალიზი; გონებრივი იერიში; დემონსტრირების მეთოდი; ინდუქცია, დედუქცია,

ანალიზი და სინთეზი; ახსნა-განმარტებითი მეთოდი; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სილაბუსები
- სასწავლო პროგრამა
- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით,

გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტების შეფასება კანონმდებლობასთან მეტწილად შესაბამისია. შეფასების სისტემა (შეფასების ფორმატი, მეთოდოლოგია და თითოეული კომპონენტისათვის მინიჭებული ქულა) გაწერილია შესაბამისი სილაბუსში და სტუდენტებს ეცნობებათ სემესტრის დასაწყისში. შუალედური და დასკვნითი შეფასების თითოეული კომპონენტი მეტწილად ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას. ამასთან შეფასების თითოეულ ფორმაში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. აღსანიშნავია სასწავლო კურსი „სტატისტიკური კვლევები“, რომელიც ორიენტირებულია სტუდენტებში პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის განტმტიკცებაზე, თუმცა სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით, სტუდენტის შეფასება არ მოიცავს პრაქტიკული დავალების შესრულებას. შესაბამისად, სწავლის შედეგების უკეთ მიღწევისთვის ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდირებულად მიიჩნევს აღნიშნულ სასწავლო კურსში სტუდენტთა დამოუკიდებელ კვლევითი უნარების განვითარებაზე მეტი აქცენტი გაკეთდეს და ფინალური თეორიული გამოცდის ნაცვლად უმჯობესია სტუდენტების მხრიდან კვლევითი ნაშრომის მომზადება, ხოლო სტუდენტთა თეორიული ცოდნის შეფასებისთვის შესაძლებელია სილაბუსში უკვე არსებული ქვიზებისა და შუალედური გამოცდის გამოყენება.

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებამ ექსპერტთა ჯგუფი დაარწმუნა, რომ შემფასებლისთვის კარგადაა ცნობილი შეფასების თანამედროვე მეთოდები და ამ სფეროში თავისი უნარების განვითარებისათვის იღებს მხარდაჭერას, რაც დასტურდება სასწავლო პერსონალის განვითარებისთვის განხორციელებული ღონისძიებებითა და პროგრამის სტატეგიული განვითარების გეგმით, რომელის მიხედვითაც დაგეგმილია შესაბამისი ღონისძიებები.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა (სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. ამასთან, დამატებითი გამოცდა შეიძლება დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში).

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები (სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი).

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება აკმაყოფილებს სტანდარტების მოთხოვნებს, ნაშრომი

<p>ერთჯერადად ფასდება 100 ქულით: 40 ქულით ნაშრომს რეცენზენტი, ხოლო 60 ქულით კომსია აფასებს.</p> <p>ამასთან, პროგრამის სტუდენტებს შეეძლებათ შეფასების გასაჩივრება და სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის დახმარებით სწავლის შედეგების შესახებ მიიღებენ უკუკავშირს, ასევე პროგრამას გაწერილი აქვს სტუდენტთა შეფასების მონიტორინგის პროცედურები.</p>
